საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 1023341001**

თარიღი:**07/12/2023**

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრისა და რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 103-ე და 104 მუხლებისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის #199 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი – მერიის რეორგანიზაციისთვის აუცილებებლი სამართლებრივი აქტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება;

2. განისაზღვროს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა დანართი #1 შესაბამისად;

3. მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა მერიის საჯარო მოხელეებზე, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე გამოქვეყნება;

4. რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ ეცნობოს საჯარო სამსახურის ბიუროს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247);

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, აბაშა, 0200, ტ.დარასელიას ქ. N1, ტელ: (+412) 29 18 35,
ელ.ფოსტა: ABASHISMERIA@GMAIL.COM

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სარეორგანიზაციო ღონისძიებათა გეგმა

1. რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

   ა) მერიის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დასამტკიცებლად წარდგენა 2023 წლის 25 დეკემბრამდე;

   ბ) მერიის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტის მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დასამტკიცებლად წარდგენა 2023 წლის 25 დეკემბრამდე;

   გ) საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება 2023 წლის 25 დეკემბრამდე;

   დ) დადგენილების პროექტის წარდგენა საკრებულოსთვის ლიკვიდირებული სამსახურის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ 2023 წლის 25 დეკემბრამდე;

2. მერიის ახალი საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს:

   ა) იმ საჯარო მოხელეთა განსაზღვრა, რომლებიც რეორგანიზაციის გამო კომპეტენციის გათვალისწინებით, შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა პოზიციებზე – მათი თანამდებობების ტოლფას ან ასეთის არარსებობისას დაბალ თანამდებობებზე;

   ბ) მერიის საჯარო მოსამსახურეთა განსაზღვრა და გაფრთხილება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით არსებული საშტატო ერთეულისთვის დადგენილი ფუნქციის გაუქმების ან/და შემცირების გამო, შესაძლო გათავისუფლების შესახებ;

   გ) ამ პუნქტით გათვალისწინებული საჯარო მოხელეების განსაზღვრისას სამუშაო ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მონაწილეობა, რომელშიც არის დასაქმებული მოხელე;

3. თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობის პროცედურების განხორციელება დაიწყოს ახალი საშტატყო ნუსხის ამოქმედებიდან და გაგრძელდეს რეორგანიზაციის დასრულებამდე 1 თვის განმავლობაში;
4. სამუშაო ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მობილობას დაქვემდებარებულ პირთა შესახებ სსიპ ,,საჯარო სამსახურის ბიუროს" წერილობითი ინფორმირება. მობილობა განხორციელდეს სსიპ ,,საჯარო სამსახურის ბიუროს"-თან თანამშრომლობის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5. მოხელეთა მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში შტატებს შემცირების გამო მოხელეთა გათავისუფლება და რეზერვში ჩარიცხვა;